გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №31

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ ნიკა ახალკაცისთვის (პ/ნ 59001113675) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 25 ნოემბერს შემოსულია მოქ. ნიკა ახალკაცის განცხადება (N19/202433090-20), რომელშიც 5 წლის ვადით, მოთხოვნილია, იჯარის გაგრძელება, ან ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება, სოფ. თორტიზაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ს/კ 66.54.10.040 უძრავი ქონებაზე.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის №020-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: რაიონი გორი, სოფელი თორტიზა), სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.54.10.040 დაზუსტებული ფართობი 2484.00 კვ.მ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 11200.00 (თერთმეტიათას ორასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თორტიზაში სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით 2484 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669

დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თორტიზაში მდებარე ს/კ 66.54.10.040 სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 2484 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ნიკა ახალკაცს (პ/ნ 59001113675).

2. რაიონი გორი, სოფელი თორტიზა, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.54.10.040 დაზუსტებული ფართობი 2484.00 კვ.მ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 11200.00 (თერთმეტიათას ორასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 840 (რვაას ორმოცი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6. სოფელ თორტიზაში მდებარე 66.54.10.040, სასოფლო სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნას სასოფლო - სამეურნეო საქმიანობისთვის.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე